ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№ 8 1883—1909 წ. 30 აპრილი

შინაარსი.

სალიტერატურო განყოფილება: სპარსეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა და კავკასიასთან დამოკიდებულობა, დ. ღ.—დიდი მწყემსი (მოთხრობა წმიდა იოანნე ოქროპირის დროიდამ) თარგმანი მღვ. იოანნე ლუკიანოვისა.—ნეტავი ჭორი გამოდგეს—კერპთაყვანისიცემლობა რუსეთში—ოსმალეთის რეაქცია.—მაკედონიის ჯარის მიერ სტამბოლის აღება და სულთანის ტახტიდან ჩამოგდება.—სპარსეთის ამბები.— ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანოზრივ საზოგადოებასა და **კეთილ ზნეობაზე:** სიტყვა—მღ. კ. ცინცაძისა.—საეკლესიო კითხვების განმარტება.—

სპარსეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა და კავკასიასთან დამოკიდებულობა.

გაგრძელება*)

II. სპარსეთის პოლიტიკური მდგომარეობა.

1) ადმინისტრატიული მართვა-გამგეობა.

მთელი სპარსეთი პროვინციებათ არის დაყოფილი და პროვინციები ცალკე ოლქებათ, რომელთა გამგეობას ბეგლარ-ბეგები (თავადთა თავადნი) ეწევიან, ზოგიერთი პროვინციების გამგეთ შახის გვარეულობის თავადებია. ყოველი ბეგლარ-ბეგი თავის ოლქში ისეთივე ბატონია, როგორიც შაიჰ მთელ სპარსეთში. ბეგლარ-ბეგის ხელქვეითია ცოთიბი ანუ გუბერნატორის თანა შემწე, მისი თანა შემწე ქალაქის გამგე. პატარა ქალაქებსა და სოფლებში უფლება აქვთ თავიანთ წარმომადგენლის არჩევის, ამას გარდა ყოველი ამქარი ირჩევს თავის უსტაბაშს, რომელიც შაიჰმ უნდა დამტკიცოს და ეს თანამდებობა საპატიოდ ითვლება.

ქურდისტანის პროვინციის ბევრ კუთხეებში მცოვრებლები თუმცა სცნობენ შაიჰს ბატონობას, მაგრამ თავიანთ შინაურ მართველობაში დამოუკიდებელნი არიან, რადგან მათი მთები მიუვალია და ისეთივე მდგომარეობაში არიან, როგორშიდაც ამ რამდენიმე წლის წინად ჩვენი სვანეთი იყო. განსაკუთრებით დამოუკიდებლათ არიან ურმიას ტბის ახლო მცხოვრებნი და ქ. სალმასის ახლო მცხოვრებნი მთის თემები.

გადასახადის მოკრება ზემოდ ჩამოთვლილ მოხელეებს აბარიათ და რასაკვირველია ხშირად ტყავს აძრობენ გლეხობას, შაიჰ ნა დირმა კი სამღვდელოებას და მეჩეთებს ჩამოართვა მრავალი მამულები და თითონ დაისაკუთრა. დღეს კი სამღვდელოება უმეტესად ჯამგირით ირჩენს თავს. სახელმწიფო მიწები იჯარით გაცემულია გლეხებზე და ყოველი მოსავალი უნდა შეფასებულ იქმნას სახელმწიფო მოხელისგან. მოსავალის $^{2}/_{3}$

*) იხ. „მწყემსი“ № 7 1909 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკუთვნის სახელმწიფოს ესე იგი შაჰს და დანარჩენი გლეხს; კერძო მამულებიდან 10 % მიდის სახელმწიფოს სასარგებლოთ. გადასახადს უმეტეს ნაწილად ქირნახულით იხდიან, ვინც შეძლებულია ის კი ფულით, რადგან ამ ნაირად უფრო ვერ მოატყუებენ მოხელეები.

გადასახადები დადგენილია ეგრეთვე სახლებიდან, ქარვასლებიდან, დუქნებიდან, წისქვილებიდან. ყოველი საქონლიდან, რომელიც სპარსეთში შემოდის 5 % ბაჟია გადასახდელი. ბაჟიდან ძლიერ ბევრი შემოდის რადგან ყოველ ქალაქებში ცალკე საბაჟოა.

მარტო ამ შემოსავლით, რომ კმაყოფილდებოდეს ხაზინა კიდევ ასტანი იქნებოდა, მაგრამ თითქმის დაკანონებულად უნდა ჩათვალოს რძლვნის მირთმევა. ყველა უმაღლესი მოხელენი და მინისტრები წელიწადში ერთხელ ვალდებულნი არიან ძვირფასი საჩუქრები მიართვან შაჰს, ხან-და-ხან ფულსაც მიართმევენ ხოლმე რაც უფრო სასიამოვნოა. ვინც ბევრს მიართმევს წარმატებას მიიღებს, ვინც ცოტას ადგილს დაჰკარგავს. ურიცხვი საჩუქარი უნდა მიართვან ეგრეთვე სხვა-დასხვა თემების უფროსებმა. ძლიერ ბევრი შემოდის ეგრეთვე ღირსება ჩამორთმეულთა მამულებიდან. საერთოდ უკანონო შემოსავალი წლიურად 6 მილიონ კრანს (1 კრანი 40 კაპ.) უდრის. ყველაზე მძიმე გადასახადი ეგრედ წოდებული სადერია, რომელსაც მოულოდნელად ჰკრებენ ხოლმე, ამ გადასახადს ყველა წოდებები იხდიან და მისი დადგენა შაჰის გუნებაზეა დამოკიდებული. თითონ გადასახადის მოსაკრებად ძლიერ ბევრი ფული იხარჯება და მისი მოკრების დროს უმეტესი ნაწილი ამკრებთა ჯიბეში რჩება.

მთავარი ხარჯები შაჰს მისი ოჯახობისთვის, ამალისთვის და სამკაულებზე მიდის, ამას გარდა მოხელეების და სასახლის ჯარების შესანახად.

2) მართლმსაჯულება და კანონმდებლობა.

როგორც ყველა მაჰმადიანთა ისე სპარსელთა კანონებიც ყორანზე და ზეპირ გარდმოცემაზე არიან აშენებულნი.

უმაღლესი სამსაჯულო ეგრედ წოდებული შერიათია, რომელშიდაც მთავარი ადგილი სამღვდელოებს უჭირავს. წინად არსებობდა ეგრედ წოდებული დეკანოზის თანამდებობა, რომელიც შაჰს სასახლეში ცხოვრებდა და მისი თანხმობით ნიშნავდა მსაჯულებს, მაგრამ ეხლა ეს თანამდებობა მოისპო.

დიდი თანამდებობა არის მუშტეიდის (არქიეპისკოპოსი), იგი არც ჯამაგირს იღებს და არც მამულები აქვს, მხოლოდ თავის სამწყსო არჩენს მას; უმეტესად მუშტეიდები დიდათ განათლებულნი არიან, უბრალო ცხოვრებას ეწევიან და ხალხში სარწმუნოებრივ ქადაგებას ეწევიან. მათ ისეთი მოწიწებით უყურებს ხალხი, რომ ხშირად იმ ქალაქში სადაც მუშტეიდია შაჰიც ვერ გაბედავს ცხოვრებლების დარბევას. სპარსეთში სულ 5 მუშტეიდია.

შემდეგ დიდი ადგილი უჭირავს შეიხ-ულისლამს (ეპისკოპოსი) ისინი ყოველ დიდ ქალაქში სცხოვრობენ, შაჰისაგან ინიშნებიან და ჯამაგირიც აქვთ, ისინი თავჯდომარე არიან უმაღლესი სამსაჯულოების და ხალხში დიდი პატივის ცემით სარგებლობენ, მათ არავითარი კავშარი არა აქვთ სახელმწიფოს მოხელეებთან და ამიტომ ხალხი მათ ძლიერ ენდობა.

დიდ ქალაქებში არიან ეგრეთვე ეგრედ წოდებული ყადები, რომელნიც მსაჯულის თანამდებობას ასრულებენ და მუფტები, რომელთა თანამდებობაც პროკურორისას უდრის. მდაბალი სამღვდელოება ცუდ მდგომარეობაშია და იძულებულია ხან-და-ხან სხვა-და-სხვა არა სასურველი წყაროები გაიჩინოს თავის სარჩენად.

სიკვდილით დასჯა და პატიება შაჰს საქმეა და იშვიათად დაუთმობს თავის უფლებას ვისმე.

სასჯელი სპარსეთში ისეთივე სასტიკია, როგორც დანარჩენ მაჰმადიანურ სახელმწიფოებში: გაგუდვა, თავის მოჭრა, დაჩეხა, ცხელი წყლით დაფუფქვა, თითების დაწვა, ცოცხლად დამარხვა, ფეხების და ხელების მოჭრა, ყურების მოჭრა და სხვა საშინელი სიმხეცენი. წინად იყო შემოღებული დაბრმავება და თვალების ამოჭრა, მაგრამ ეხლა გადავარდნილია.

ქალებს რასაკვირველია საჯაროდ არ ახრჩობენ, მაგრამ სამაგიეროთ ოჯახში საშინელ პირუ-

ტყულად ეკცევიან. ხშირად, როდესაც ვინმე თავადი რამეს დააშავებს მას დაახრჩობენ და მის ცოლებს კი სალდათებს და მოსამსახურეებს აუქებენ ხოლმე.

3) ჯარი.

დაახლოვებით მთელი ფეხითი ჯარი სპარსეთის მილიციისა შესდგება 539000 კაცისაგან, 30000 მხედრობა და 5 არტილერია და 200 ზარბაზანი. ვამბობთ დაახლოვებით, რადგან ნამდვილი ცნობების შეკრება ძლიერ ძნელია. 1890 წ. რუსის, ინგლისის და საფრანგეთის ოფიცრები რწვთნიდან სპარსელებს, მაგრამ მათი საომარი ძალა ძლიერ სუსტია. სალდათათ მიყავთ როგორც ახალგაზრდები ისე მოხუცნი და მათ მთელი სიცოცხლე უნდა იმსახურონ. ოფიცრებათ ინიშნებიან ისინი ვინც ქრთამს გაიღებს. არსებობს ორი სამხედრო სასწავლებელი, რომელიც არაფერ ცოდნას არ აძლევს. ოფიცრები ფლანგვენ სალდათების ფულს და ეს ხშირად აჯანყებას იწვევს. საჭმელი ძლიერ მცირე ეძლევათ და ამიტომ ყოველ წელიწადში ერთხელ სახლში უშვებენ რომ ცოტათი მოლონიერდენ. 1889 წ. სალდათებს სხვა-დასხვა სისტემის თოფები ქონდა ამ დროიდან კი ერთი სისტემის. იმართება ეგრეთვე სასროლი ვარჯიშობა.

არსებობს ეგრეთვე ყაზახთა ბრიგადა, რომელნიც რუსული წესით არიან გაწვრთნილნი და რუსის უფროსი ყავთ პოლკოვნიკი ლიახოვი, შეიარაღებულნი არიან ბერდანის თოფებით, რომელნიც რუსის მეფემ ალექსანდრე III შაიჰს აჩუქა.

არტილერია შესდგება 200 ზარბაზნიდან, რომელნიც სხვა-და-სხვა ქალაქებშია განაწილებული. ამას გარდა აქვემებით კურტანზე აქვთ მოწყობილი პატარა ზარბაზნები.

კავალერიას გარდა არსებობს ქურთების მხედრობა, რომელნიც დაახლოვებით 150000 ცხენოსანისაგან შესდგება, მაგრამ ისინი თავის ნებაზე არიან გაშვებულნი და ომში მაშინ მიიღებენ მონაწილეობას თუ რაიმე სარგებლობას მოელიან.

თითონ შაჰის სასახლეს იცავს განსაკუთრებულნი ჩაფრები რიცხით 5000 კაცი, რომელთაც დიდი ჯამაგირი ეძლევათ და დიდი უფლებებიც აქვთ.

მთავარი ნაკლი სპარსეთის ჯარისა მდგომარეობს ცუდ მომზადებაში, არავითარი წეს—რიგი არ არსებობს, მაგალითად საომარი მზადებისათვის და ხელმძღვანელებიც ძლიერ ცუდათ არიან მომზადებულნი.

საომარი გემები კი სპარსეთს არა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთის და სამხრეთის საზღვრები ზღვის პირებია.

დ. ღ.

დიდი მწყემსი. *)

(მოთხრობა წმიდა იოანნე ოქროპირის დროიდამ)

თარგმანი

გაგრძელება

.

რითი გათავდებოდა ამბოხი, რანაირ ცეცხლის წაკიდებით თუ ცარცვა-გლეჯით,—ძნელი იყო ამისი გამოცნობა, თუ რომ უმთავრესი ქუჩის ბოლოს არ გამოჩენილიყო მმართველი, ჯარის დიდი გუნდით.

მცხოვრებნი შიშით სახლებში დაიმალნენ. უგუნური გულის წყრომა შეიცვალა შიშის თავზარ დაცემით.

რა იქნება ეხლა? როგორი სასჯელი მოჰყვება? რანაირი დასჯა მოელის ქალაქს?

თითონ მმართველი შეძრწუნდა, როცა გაიგო რა ჩაიდინა ამბოხებულმა ხალხმა. იმან კარგად იცოდა ფიცხელი ხასიათი თეოდოსისა, რომელიც პირველ გაჯავრებაზე ისეთ სასჯელს ადებდა, რომ შემდეგ თითონვე ნანობდა.

დაიწყეს ხალხის დატუსაღება. საპატიმროები გაიმსო. მოედნებზე განუწყვეტლივ ხდებოდა სას-

---

* იხილე „წყემსი“ № 7 აპრილი 1909 წ.

ჯელი ხალხისა. ეპიმახი ცოცხალივე დასწვეს. ყველა მისი მზიდველი მუშები ზოგი ურმის თვალზე მიაკრეს სატანჯველად, ზოგი ოთხად გაჭრეს, ზოგი მხეცებს შეაჭამეს.

ანტიოქელები, შიშით თავ-ზარ დაცემული, ვისაც შეეძლო, გარბოდა. მაგრამ ყოველივე ეს იყო მხოლოდ დასაწყისი. ქალაქის მმართველმა გაუგზავნა იმპერატორს დაწერილებითი მოხსენება ტ სთხოვდა ჩვენებას, როგორ მოჰქცეოდა ანტიოქელებს.

მოქალაქეებმა აგრეთვე იცოდნენ ფიცხელი ხასიათი იმპერატორისა და ელოდნენ ფრიად სასტიკ ზომებს. გაბრაზებულ თეოდოსის შეეძლო ებძანებინა, რომ მთლად ხალხი გაეწყვიტათ, დაენგრიათ ძირამდის ქალაქი, თვით ადგილი მისი მოეხნათ და შემდეგ მარილი მოეყარათ.

— რა მოგველის ჩვენ? — შეშინებულები კითხულობდნენ ანტიოქელები. — რა მისწერა მმართველმა? როგორ მოახსენა იმპერატორს?

დადგა სატანჯველი დღეები მოლოდინისა. ქალაქი თითქოს დაცარიელდა. იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ქუჩებში ვინმე ფერ-მიხდილი. ყველგან ისმოდა კვნესა და სულთქმა. ზოგი იგლოვდა დასჯილებს, ზოგიც თითონ მოელოდა სასჯელს.

იოანნე წავიდა მმართველთან. მმართველი, რომაელი, იყო წარმართი; მაგრამ იმან იცოდა სიამაყე ანტიოქიის ქრისტიანებისა, ოქროპირის მქადაგებლისა, და ყურადღებით მიიღო იოანნე.

— მმართველო, — უთხრა იოანნემ, — შენ აქ ნამესტნიკი ხარ იმპერატორისა; შენ ხარ წარმომადგენელი ხელმწიფის ნებისა. მაშ ღირსი იყავ ამ ნების. ნება მეფისა უნდა იყვეს არა მხოლოდ შემძლებელი, იგი უნდა იყვეს აგრეთვე მეფური— პატიოსანი, მოწყალე, გულ—კეთილი. ბრმა ხალხისა მოქმედობს ბრიყულად, დაბრმავებული ველურის გულის-წყრომით. მეფური ნება უნდა იდგეს ველურის წყრომის მაღლა. მე მესმის მთელი სიმძიმე შეურაცხეობისა, რომელიც მდაბიო ხალხმა მიაყენა იმპერატორს მისი გამოქანდაკებული სახეების დაცინვით, მაგრამ შენ მმართველო, ნუ დააყენებ კეისრის ნებას თავხედი ბრბოს ნებასთან ერთად.

მოიგონე მაგალითი კონსტანტინე დიდისა. ალექსანდრიამ აგრეთვე რაღაზედაც მოახდინა აჯანყება თავის მეფლობელის ნების წინააღმდეგ, და გამწყრალმა ხალხმა ტალახი მიაყარა. მის გამოქანდაკებულ სახეებს ქუჩებზე, მოედნებზე და საგანგებო ადგილებში. როდესაც კონსტანტინეს მოახსენეს ამაზე და მოელოდნენ იმის რისხვას, იმან ღიმილით დაათვალიერა თავის თავი, დაიხედა ხელებზე, ჩაიხედა სარკეში და დამშვიდებით სთქვა:

— რა საოცარია! მე ვერ ვხედავ, რომ ტალახით გასვრილი ვიყვე; არა მგონია, რომ მე შეურაცყოფილი ვიყვე იმითი, რომ რამდენიმე ჟუჟუიანმა ხელმა ესროლეს ჩემს სტატუებს ტალახი. დასტოვეთ სტატუები ისე ტალახით, თუ ტალახი კიდევ დარჩა. დაე, ეს იყვეს საყვედური იმათთვის ვინც ტალახს ესროდა, ხოლო თითონ იმათ თავი დაანებეთ; უთხარით, რომ იმათმა ტალახმა ჩემამდის ვერ მოახწია.

ამნაირად მოიქცა წარსულში ერთი დიდი ხელმწიფე ისეთ შეურაცხოფის დროს, როგორც მოხდა ჩვენში, ანტიოქიაში, თეოდოსის შესახებ, —გაათავა თავის ლაპარაკი იოანემ. —ნუ თუ შენ, მმართველო, არ მოინდომებ, რომ ჩვენი აწინდელი იმპერატორიც აგრეთვე მეფურად, პატიოსნად მოექცეს მეამბოხე ანტიოქიის ბრბოს

მმართველს გაუკვირდა ასეთი ღირსეული და გონივრული ლაპარაკი იოანნესი და დანანებით უთხრა:

— გვიანაა. მდევრები უკვე გაგზავნილია. მე გავგზავნე ისინი დიდად განრისხებულმა და ვთხოვე კეისარს, რომ მიიღოს თვით უსასტიკესი ზომები.

—ღმერთმა დაიჭირა შენი მახრობლები რისხვისა,—გაიშვერა იოანნემ ზეცისაკენ ხელი.—ტავრის მთებში უცებ დიდი თოვლი მოვიდა, ამოამსო გადასასვლელები და მიმოსვლა შესწყვიტა.

—მერე რა? მე არ შემიძლიან გამოვცვალო გადაწყვეტილება, არა მაქვს ნება უკან დავიბრუნო ისინი. იმპერატორმა დაუყონებლივ უნდა გაიგოს რაც მოხდა. ამბოხი მეტად დიდი იყო, და მისი დამალვა არ შეიძლება. მაშინ მე თითონ პასუხს ვაგებ სიცოხლით.

—იმათი უკან დაბრუნება არაა საჭირო. დაე ისინი წავიდნე თავისი გზით. ნება ღვთისა შესრულდება თავის გზით.

—როგორ?

—ჩვენ გავგზავნით კეისართან ახალ მახარობელს. მხოლოდ მახარობელს რისხვისას-კი არა, არამედ ღვთის წყალობისას.

—ვინ? ვინ იდებს თავს? ვინ გაბედავს?

—გაბედავს ჩვენი მწყემს-მთავარი, მიტროპოლიტი ფლაბიანე. ის წავა შენი გაგზავნილების უკან, და იქნება შუამდგომელი თავის სამწყოს ცოდვისათვის.

მმართველმა გაიცინა.

—ფლაბიანე? მიხრწნილი მოხუცებული. და შენ იოანნე, იცი-კი რამდენი ვერსის მანძილია ანტიოქიიდან კონსტანტინოპოლამდე? ათას ორასი. დათვალე. გიიგე: ა-თ-ა-ს- ო-რ-ა-ს-ი ვერსი. ისიც ზამთარში. მთებში. თითონ შენვე ამბობ, ტავრზე დიდი თოვლი მოსულაო. და შენი ფლაბიანე რამდენი წლისაა? ოთხმოცამდის იქნება.

—მმართველო, ქრისტიანობრივი სიყვარულისათვის წლები არ არსებობს. იგი არ ბერდება· არ იცის არც მანძილი. არ მცირდება ვერსების რიცხვისაგან. იგი კითხულობს მხოლოდ იმას: საჭიროა იგი? და თუ საჭიროა, სად?

მმართველმა ახალის და მეტი პატივისცემით შეხედა იოანნეს დიდ და ბრწყინვალე თვალებში, რომელთაგანაც თითქოს გამოსჭვიოდნენ რაღაც ნაზი, თბილი სხივები.

—კარგი. მაგრამ რა მნიშვნელობა ექნება ერთი კაცის სიტყვას, როდესაც მთლად ხალხმა ჩაიდინა დიდი დანაშაული?—ჩაფიქრებით ჰკითხა მმართველმა.

—ბევრს ნიშნავს· დიდი მნიშვნელობა ექნება! —დარწმუნებით და თავდადებით უპასუხა იოანნემ. ერთი კაცი, გამხნევებული წმიდა მიზნით, საკმარია, რომ იხსნას მთელი ხალხი. მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი იმედი ამაოდ არ დარჩება, იმიტომ რომ ღმერთი არ შეურაცხოფს ასეთ გულსმოდგინებას და ზრუნვას სამწყოსათვის და არ ინებებს. რომ მისი მსახური დაბრუნდეს გაუმარჯვებელი. მე დარწმუნებული ვარ, ნამდვილად ვიცი, რომ როგორც-კი მღვდელ-მთავარი ფლაბიანე წარსდგება ხელმწიფის წინაშე, მაშინვე, თავის უძღურის და მოხრილის სახით დაიცხრობს მის რისხვას. თანაც სიტყვა მწყემსისა? სიტყვა ქრისტეს ეკკლესიის წინამძღვრისა ხელმწიფეს-ქრიტიანს? მეუფე ფლაბიანე იმ დროსთვის, როცა წარდგება ხელმწიფის ტახტთან, ჰპოვებს იქ მფარველობას. ჩვენ ქრისტიანთ გვიდგება ეხლა დიდმარხვა. ჩვენი უპირატესი მღვდელმთავარი იქნება კონსტანტინოპოლში ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომის წინ. ის უჩვენებს იმპერატორს ქრისტეს აღდგომაზე და მწყემსებრ-უფლებით ეტყვის მას:

—ამ დღეებში, ქრისტეს აღდგომისა, და მთელი ქვეყნის ცოდვების პატიებისა, დრო არ არის ხალხს დასჯისა სიკვდილით და ჯავრის ამოყრა მათზე თქვენი შეურაცხობისთვის.

გონიერი მწყემს-მთავარი მოაგონებს ხელმწიფეს იგავს სხვა ხელმწიფეზე, რომელმაც მოინდომა ანგარიშის გაწევა თავის მონებთან, და როდესაც დაუწყო ანგარიში, მაშინ მოიყვანეს იმასთან ვინმე, რომელსაც ჰმართებდა იმისი ათი ათასი ტალანტი! რადგანაც მოვალეს არა ჰქონდა რითი გადაეხადა ეს ვალი, იგი დავარდა ხელმწიფის წინ და სთხოვა დაეცადნ· ხელმწიფეს შეეწყალა ის, ვალი სულ მთლად აპატია და გაუშვა. ხოლო მონა იგი გამოვიდა, შეხვდა ერთ თავის ამხანაგს, რომელსაც ჰმართებდა იმისი სულ რაღაცა ასი დრაჰკანი. დაიჭირა მაშინვე იგი, შეაშთობდა მას და ეტყოდა: „მომეცი მე, რაცა გმართებს.“ იმას არა: ჰქონდა მაშინვე რითი გადაეხადნა და სთხოვა „დამაცადე და ყველაფერს მოგცემ.“ მაგრამ უწყალო მოვალეშემ არ დაიცადა და ჩასვა მოვალე საპყრობილეში. მაშინ ხელმწიფემ მოუწოდა იმას და უთხრა: „ბოროტო მონაო! მთელი იმოდენა შენი ვალი გაპატიე. არა ჯერ-იყო შენდაც შეგეწყალა შენი მოყვასი?

ვიცი მე მოძღვარული კადნიერება ჩვენი ჩვეულებრივ სუსტის მოხრცისა,—განაგრძელა იოანნემ. —იგი მოგონებს კეისარს ამ იგავს და უთუოდ დაუმატებს:

—დიდი იყო, ხელმწიფევ, შენი შეურაცყოფა, მაგრამ დიდი სასჯელიც გამოსცადეს შეურაცმყოფლებმა· უფრო კიდევ დიდ სასჯელს განიცდის ან ეხლა, ყოველ დღე ელოდებიან სასტიკ სასჯელს და სიკვდილს, იტანჯებიან შიშით ამდენი ხნის განმავლობაში. დაკმაყოფილდი ასეთის მათი დასჯით. შენს რისხვას ნუღარ აჭყვები. მოწყალე ჰყავ შენზედა უზენაესი მსაჯული იმითი, რომ აღმოუჩინე შენს მოძმეებს პატიება და კაცთმოყვარება. ამას და კიდევ მეტს ეტყვის იმპერატორს ეპისკო-

პოზი. მეფე-რა მოისმენს მისი გულის-მწუხარებას, მოლბება მოხუცის სიყვარულით სამწყსოსადმი; და შესრულდება სიყვარულის დიდი სასწაული. კეთილი გული მოაშორებს ხალხისაგან მასზედ აღებულ, დამსჯელ ხმლიან ხელს. ჩვენი მოხუცი იქნება ანგელოზი ღვთისა, გაგზავნილი ქვეყნის მეფესთან ზეციერის მეფისაგან. ნუ დაუხშობ, მმართველო იმას გზას. გაუადვილე მას წასვლა. შენგან დამოკიდებული ზომებით დააჩქარე მისი წასვლა. იყავ საფეხურად, რომლითაც უკეთილმსახურეს ჩვენს იმპერატორს თეოდოსის შეეძლოს მართლაც აღსვლა ჭეშმარიტის სიკეთის სიმაღლეზე. გადასწყვიტე ბატონო. მე მოვედი შენთან მწუხარებით დატანჯული სიტყვით. შენს ხელშია უარ-ჰყო იგი, ან სთქვა: „იყვეს ეგრე.“ მწუხარების სიტყვა შესცვალო სასიხარულო საქმედ.

—„იყვეს ეგრე!»—სთქვა ცრემლ მორეულმა მმართველმა და გაუწოდა ხელი იოანნეს.—წადი შენს მოხუცებულ ეპისკოპოსთან და უთხარი, რომ იმას გზაზე არსა დაბრკოლება არ ექნება.

სამი საათის წინათ მინამ მმართველს ნახავდა, იოანნე იყო მიტოპოლიტ ფლაბიანესთან, არწმუნებდა რომ წასულიყო იმპერატორთან კონსტანტინოპოლში. სუსტი და მოხუცი ეპისკოპოზი ძალიან დარდიანათ იყო ანტიოქიაში მომხდარი ამბების გამო. ის ლოგინათ იწვა და ხშირათ სტიროდა.

—უბედურობა! და როგორი უბედურობა! —შეხვდა იგი ამ სიტყვებით იოანნეს და თვალებიდგან ცრემლები გადმოსცვიოდა. ზარმაცები ვიყავით ჩვენ სამწყსოს სწავლებაზე. ვერ დავიცავით ღვთიდგან რწმუნებული სამწყსო ბოროტების უგუნურებისაგან; და აი დაგვსაჯა ჩვენ უფალმა ჩვენის ცოდვებისამებრ. ეხლა რა მოგვივა ჩვენ?

—რა მოგვივა, ეს ერთმა ღმერთმა იცის. ყველაზე მისი წმიდა ნებაა,—უთხრა იოანნემ.—ჩვენ ეხლა სხვაზედ უნდა ვიფიქროთ. იმაზე კი არა, ჩვენ რა მოგვიგა, არამედ იმაზე, ჩვენ რაგორ უნდა მოვიქცეთ. მეუფეო წმიდაო ,მეფის რისხვის ღრუბელი გადაეფარა ქალაქს, და მოქალაქეები შეშფოთებულნი არიან. მოხელეებმა აღარ იციან რა ქნან როგორ მოიქცნენ, რომ იმპერატორს ასიამოვნონ, სცდილობენ ერთი ერთმანეთს გადაამეტონ მეტისმეტი სისასტიკით. საჭირო მოეღოს ბოლო ამ სასასტიკეს, მოისპოს მოსალოდნელი ახალი სასჯელები მომავალში.

—ჩვენ აქ რა შეგვიძლიან გავაკეთოთ?—ოხრავდა ცრემლ-მორეული მოხუცუცი ეპისკოპოზი. —ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ერთი ლოცვა.

—პირიქით, მეუფეო წმინდაო, მხოლოდ ერთი ლოცვა არ დაგვრჩენია, არამედ ბევრი სხვა. ლოცვა—ჩვენი მუდმივი მოვალეობაა. ჩვენ ვლოცულობდით წინათ, უნდა ვილოცოთ ეხლაც, მაგრამ ლოცვის გარდა, ჩვენ უნდა მივმართოთ ბეჯითის თხოვნით იმპერატორს. შენ ხედავდი, მეუფეო, თუ როგორ აყენებდნენ დაჭერილი შვილების დედები ქუჩაზე მართველს და მსაჯულებს, იჭერდნენ ცხენებს აღვირით, მირბოდნენ იმათთან და ეხვეწებოდნენ:

—შეიწყალე ჩემი შვილი, შეიბრალე დედა. მაგას-კი არა სჯი, ჩემ გულსა ჰგმირავ. მოიგონე დედა შენი, და ნუ დამიკარგავ შილს. უმჯობესია ჩემთვის, რომ ცხენს გამაქელვინო.

—ეგრეთვე შენც, ქალაქის სულიერო მამავ, წადი იმპერატორთან. დაჭირე მისი მრისხანე, დამჯელი ხელი და ნუ დასჯეინებ მას დამნაშავე ხალხს. შეეხვეწე ხელმწიფეს შენი სამწყსოსათვის. იყავი იმის შუამავალი, ვითარცა მწყემსი. მოახსენე კეისარს, რომ თუ ვინმეა დამნაშავე,—ეს უფრო ჩვენ სასულიერო პირნი. ჩვენ იმათ არ ვასწავლიდით. ჩვენ ისინი არ აღვზარდეთ უფლის შიში. ჩვენ ხალხის მცველებს გვეძინა. ამისთვის იგი მოიდო ნაგავით, უმჯობესია ხელმწიფემ ჩვენ დაგვსაჯოს, და ხალხს —კი აპატიოს მისი დანაშაული. ნუ დაანებებ იმას თავს, ნუ წამოხვალ, შეეხვეწე.

—ჩვენ როგორ ჩავერიოთ? განა ეს ჩვენი საქმეა?—დაბნეულად ეუბნებოდა შეწუხებული მოხუცი. ხალხმა შესცოდა; მისმა ამბოხებამ დაიმსახურა სასჯელი.

—ხალხის დანაშაული იცის საერო მთავრობამ. ეს იმის საქმეა—განსაჯოს, დასაჯოს ხალხი მისი დანაშაულობისთვის; მხოლოდ ჩვენი მწყესებრივი საქმეა ვიფიქროთ მოწყალებაზე, პატიებაზე, კაცთ-მოყვარებაზე.

—ამბოხება იყო, შვილო ჩემო! საძაგლად არის გაუპატიურებული ხელმწიფის სტატუეები! რას ამბობს მეფის კანონი?

—ჩვენ, მეუფეო წმიდაო, მწყემსნი ვართ! ჩვენი უმაღლესი კანონი—ჩვენი მწყემს-მთავარია, უფალი ჩვენი იესო ქრისტე. და ამ კანონის წინაშე ყველა ჩვენ მეამბოხენი ვართ; შეურაცმყოფელნი ვართ მისი მცნებებისა. არა მარტო ანტიოქიაში, არამედ მთელ ქვეყანაზე ხალხი ამბოხებას ახდენს ქრისტეს ნების და მცნებების წინააღმდეგ. ყველა ჩვენ ვართ ღვთის ცხოველნი ტაძარნი, ცხოველი ხატი, ცხოველი სტატუები ქრისტესი. ჩვენ-კი შეურაცხყოფთ ამ არა სპილენძის თეოდოსის სტატუებს, არამედ ღვთის ცხოველ ხატებს, ვთელამთ ტალახში, ვათრევთ უსამართლოებაში, ვამახინჯებთ ყოველ საათს! ხოლო ქრისტე მაცხოვარი არა მარტო ჩვენთვის ლოცულობდა; იგი გახდა შუამავალი, აიღო თავის თ ვზე ცოდვები მთელი ქვეყნისა, დაიტანჯა ყველასათვის.

—მოხუცი ვარ მე; სუსტი ვარ, უძლური ვარ, როგორ ვილაპარაკე მე ხელმწიფესთან? ხმაკი მიკანკალებს და აზრები მერევა თავში. მივალ იქ, და ტირილს დავიწყებ. მხოლოდ ეს იქნება ჩემი შუამავლობა; მხოლოდ ეს იქნება ჩემი ლაპარაკი.

—მეტი სხვა აღარა უნდა-რა, მეუფეო, შენი მწუხარე სახე, შენი ცრემლები, შენი, უმწეო მოხუცის, ქვითინი—უძლიერესი იქნებიან მჭერმეტყველ ხელოვნებაზე. იმპერატორი რომ დაინახავს შენს უძლურებას ცრემლებში, გაიგებს რომ იმის წინ წარდგენილია ძლიერი მწუხარება მისი ქვეშევრდომებისა, და რომ ეს მწუხარება შორიდან, ათასი ვერსიდგან, მოტანილია ქრისტიანობრივი მოწყალებით და კაცთ-მოყვარებით.

ფლაბიანე დაფიქრდა. ხელები უმწეოდ ქვეით ჩამოუშვა და თავი გულზე დახარა; რაღასაც ჩურჩულებდა თავის-თავად. ლოცვას ამბობდა.

— მივახწევ-კი?—დაილაპარაკა იმან ჩაფიქრებულმა. გზა ძალიან შორია. ზამთარია. ჩემი წლოვანებისთვის წასვლა საძნელოა.

— ძალა უფლისა შეგეწევა შენ, ძალა ღვთისა უძლურებაშიაც სრულ იქმნების.

— იყვეს ეგრე, შვილო ჩემო! ბევრი ვიცოცხლე მე ქვეყნად, და ბუნდათ მაგონდება მე, თუ როგორც მწყემსმა, რა ღირსეული გავაკეთე. ბევრმა დღეებმა და წლებმა გაიარეს, მაგრამ ისეთი რამ არაფერია, რაზედაც შეიძლება გაჩერდე მაღალი სულიერი სიხარულით. სჩანს, მოწყალე იქმნა უფალი ჩემზე, და უკვე საფლავის კარს მისულს, უკანასკნელად კიდევ მომიწოდს მე მწყემსებრი ღვაწლისადმი. წავალ.

ფლაბიანემ თვალები მაღლა აიღო. დიდხანს კიდევ რაღასაც ჩურჩულებდა; და მაღალის, მტკიცე, სიხარულის ხმით სთქვა:

— მივდივარ, უფალო! მივდივარ! ქება შენ!

მიტროპოლიტი ფლაბიანე წავიდა. მწუხარე ხალხმა ცრემლი გააცილა თავისი მწყემს-მთავარი ხალხში გაისმოდა მძიმე ამოკვნესა:

— უკანასკნელი იმედი! ნეტა რა ამბით დაბრუნდება უკან?

— გვიანაა ეხლა: მმართველის მიერ გაგზავნილი კაცები თითქმის ეხლა კიდეც იქნებიან მისულები იმპერატორთან!

— ეხლა აქ აღარც მეუფე ფლაბიანეა, დაობლდნენ.

ხალხი რო დაბრუნდა, ეკკლესიაში გაეშურა. მგლოვიარეთ ჩაცმულნი, გაფითრებული სახით, ემხობოდნენ ეკკლესიის ფილაქნებზე და სასოწარკვეთილებით თავს არტყამდნენ. ყველა გლოვდა, რომ თუ დღეს არა, ხვალ მაინც მიღებულ იქნება იმპერატორისაგან განკარგულება, და ანტიოქია მოისპობა.

ქუჩები დაცარიელდნენ. ცხოვრება შესწყდა მხიარულსა და ხალხით სავსე ქ ლაქს ველარ იცნობდით. ვისაც შეეძლო გაქცევა, გაიქცა სხვა ადგილებში; ზოგი მეზობელ მთებში დაიმალა, გამოქვაბულებში, განდეგილებთან; ზოგი თავის სახლებშივე დაიმალა.

გაგრძელება იქნება.

მღვდელი ი. ლუკიანოვი.

ქუთაისი

ნეტავი ჭორი გამოდგეს

არის ცხოვრებაში ხშირად ისეთი შემთხვევა, როდესაც გესმის რამე ამბავი, მაგრამ არ გინდა დაიჯერო და ნატრობ, გულწრფელად ნატრობ, ნეტავი ვცდებოდე, ნეტავი გაგონილი ამბავი ჭორი გამოდგეს...

ასე გვენატრება ჩვენც, ჭორი გამოდგეს ახლახან ქუთაისში გაგონილი ამბავი,—ამბობენ, რომ ხაზინიდან მოცემული ყოველწლიური 20,000 მანეთი რამოდენიმე წლის ერთად მიღებული, თავად-აზნაურობის ხელში სადღაც გაჰქრა და დაილიაო...

20,000 მანეთი ნახევარი მილიონ მანეთის წლიური სარგებელია, ეს ფული იმდენად მცირედი არ არის, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება შეიძლებოდეს, რამდენიმე წლის 20,000—დიდი თანხაა რომლით ათასი, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე გაკეთდებოდა. არ შეიძლება ამ ფულს არ მოვუაროთ, მით უფრო, რომ ჩვენ, ქართველები, ქონებრივად ჩამორჩენილნი ვართ და სხვა ამოდენა ფული ასე ადვილად არ მოგვეპოვება...

ეს ფული მთავრობისაგან რუსეთთან შეერთების ასი წლის იუბილეის გამო ქართველ თავად-აზნაურობას მიეცა, მაგრამ იგი მთელ ქართველობას ეკუთვნის და თავად-აზნაურობას მისი თავისთვის დასაკუთრება არ შეუძლია.

მართლაც, ასის წლის წინეთ მარტო ქართველი თავად-აზნაურობა ხომ არ შეერთებია რუსეთს, მასთან ერთად სხვა წოდებებმაც დაჰკარგეს საკუთარი მეფე და სხვისი ქვეშევრდომობა მიიღეს. ასი წლის შემდეგ კი მხოლოდ თავად-აზნაურებს არ გახსენებიათ რუსეთთან შეერთება, ამ დღის ხსენებას მხარი დაუჭირეს სხვა წოდებებმაც იმდენად, რამდენადაც საკუთარ წოდებრივ წარმომადგენლობის უქონლობა მათ საამისოდ ხელს უწყობდენ და ამ გახსენებას უადვილებდენ...

ამიტომ ახლა ყველა არა თავად-აზნაურსაც სრული ზნეობრივი უფლება აქვს მოიკითხოს მთავრობისაგან მიღებული ფულის ამბავი, და თავად-აზნაურობა ან მისი წარმომადგენლები ზნეობრივადვე ვალდებულნი არიან საზოგადოებას პასუხი გასცენ და ფულის ამბავი გააგებინონ...

ამიტომ ჩვენც, ქუთაისში გაგონილ „ჭორებით" გათამამებულნი, საჯაროთ ვეკითხებით ქუთაისის თავად-აზნაურობას, არის ან თუ არ არის, ვისგან ან რაზე დაიხარჯა ეს ფული? რა საჭიროებას მოხმარდა ეს თანხა? რა სარგებლობა მოუტანა ხალხს მისმა დახარჯვამ? როგორ უნდა დაიხარჯოს იგი შემდეგში?

და უმთავრესად,—მართალია თუ არა ის ხმები რომელიც ქუთაისში დადის, რომელიც ტფილისშიაც გადადის,—ვითომც მიღებრლი ფული თავიდ თავად „დალეულიყოს"...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველ ქართველს მეტად აწუხებს ეს ხმები, ყველას უნდა, რომ ფულის დალევის საქმე ჭორი გამოდგეს და სწორედ ამიტომ არ ვარგა ამ ხმების უყურადღებოდ დაგდება,—ქართველმა საზოგადოებამ ბარემ დროით შეიტყოს ის ამბავი, რომლის შეტყობის ზნეოგრივი უფლება მას უეჭვლად აქვს, რომლის დამალვა მხოლოდ სახელს გაუტეხს და ნდობას დაუკარგავს ხალხში ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოს, როგორც ეროვნულ დაწესებულებას...

(„ივერია")

ჟურნალ-გაზეთთაგან

კერპთაყვანისმცემლები რუსეთში.

რუსეთში ეხლაც კი არიან კერპთაყვანისმცემლები. ნამეტანი ბევრი კერპთაყვანისმცემლები ალტაიში არიან. მათში დარჩენილია ბევრი ძველი ჩვეულება, რომლებსაც მარტო კერპთაყვანისმცემლები კი არ მისდევენ, არამედ მართლმადიდებელი, მონათლული „ინოროდცებიც". სხვა და სხვა ჩვეულებიდან, მოვიყვანთ ერთ ჩვეულებას, სახელდობრ მსხვერპლის შეწირვას, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „კამლაობას" ეძახიან. მსხვერპლის შეწირვა ამნაირად ხდება: რამდენიმე სოფელს ერთი ადგილი აქვთ ამორჩეული. ამ ალაგას დანიშნულ დროს იკრიბებიან მთელი სოფლელები, კამს, ან ჩვენებურად მღვდელს, მოჰყავს თეთრი კვიცი. კამს გარს პატივცემული სოფლელები ახვევიან. კვიცს მაგრად აბამენ. კამი უსათუოდ თვალახვეული უნდა იყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვრალი და სხვა დასხვა სამკაულით მორთული. კამი მიდის იმ ალაგას, სადაც კვიცი აბია, თვალებს იხსნის, დარბის კვიცის გარშემო, რაღაცას ბუტბუტებს, ზარებს აჩხარუნებს, დარბის მანამდის, სანაკარგად არ იღალება, თვალები არ დაუსისხლიანდება. ამის შემდეგ ყველა იქ მყოფნი დანებით ხელში უახლოვდებიან კვიცს და დანებით სცემენ. კვიცი იწევს, სისხლი თქრიალით დასდის, მაგრამ მაინც სცემენ დანებს, უსათუოდ ყველამ უნდა დაარტყას დანა. კვიცი, რასაკვირველია, სისხლისაგან იცლება და კვდება. მოკვდება თუ არა კვიცი, იმწამსვე ატყავებენ, ხორცს სამსხვერპლო ქვაბში ჰყრიან და ხარშავენ. მოიხარშება თუ არა ხორცი' იტაცებენ ხორცს და უპუროდ, უმარილოდ სჭამენ, დამთვრალი ხალხი საღამოზე იშლება. კვიცის ტყავს ცაცხვის ხეზე ჰკიდებენ. ალტაელი, რომელიც სამოგზაუროდ, ან სანადიროდ მიდის, უსათუოდ, ამ ცაცხვთან გაივლის და დიდი ხანი თვალ მოუშორებლივ უცქერის: ეს მონადირეს და მოგზაურს აიცდენს ყველაფერ უბედურებას.

დიახ დიდ ხანს იქნება კიდევ ეს კერპთაყვანის მცემლობა რუსეთის სახელმწიფოში. ინოროდცებში მისიონერები, მხოლოდ ხალხის გარუსებას მაცადინობენ, თორემ განათლების საქმეზე სრულებით არ ზრუნავენ. თუ კათედრის ეკლესიებში ხალხი დადის ლოცვაზე მეტი. სხვა რაღაა საჭიროვო?.. ამბა იანგარიშეთ კარგად რამდენი ფულები იხარჯება ქართველების გარუსებისთვის? ეს ფულები, რომ სწავლა განათლების საქმეზე მოხმარებულიყო დღეს ჩვენში სამოთხე იქნებოდა. ეხლა კი რას გავს ჩვენი ცხოვრება? განა ცხოვრება შეიძლება იქ სადაც ხალხს იტაცებენ შუაგულ ქალაქში და აუარებელ ფულებს ახდევინებენ გამოსაყიდლად? რას შვება აღმინისტრაცია? მაგრამ ადმინისტრაციამ რა უნდა ჰქმნას თვითონაც, რომ ქუჩაში ვერ გავა თუ ორი სამი ისევე ხალხისაგან დაქირავებული კაცები არ გაუვა ყარაულათ, რომ თვითონ არავინ მოიტაცოს ან არავინ მოკლას?... და სარწმუნოებას ვილა დაეძებს ამისთანა უბედურ დროს?...

ოსმალეთი

რეაქცია.—მაკედონიის ჯარის მიერ ხტამბოლის აღება —სულთანის ტახტიდან ჩამოგდება.

წინა წერილში ვწერდი, აჯანყების მომწყობნი საეკვო წარსულის პირნი არიან მეთქი. მაშინ ეს კიდევ კარგად გამორკვეული არ იყო. დღეს-კი სავსებით გამოაშკარავდა სულთანის და მისი შვილის ბურხანედინის მონაწილეობა, ჯარის და ხოჯების მოქრთამვა. „ლიბერალური კავშირი“ ხელიხელ ჩაკიდებული მოქმედებდა კონსტიტუციის მტრებთან და ამით სამუდამოდ დაჰკარგა ხალხის ნდობა. ჯერ კიდევ ამათ კონსტიტუციისადმი ფიცის შთაბეჭდილებიდან არ გამორკვეულიყო კაცი რომ რეაქციის სუსხიანმა ქარმა დაჰბერა და ყველას აგრძნობინა ვისთან და რასთან ჭქონდა საქმე. პირველად აფიცრებზე იყარეს ჯავრი: იმ დღეებში დაიღუპა 264 ახალგაზდა განათლებული აფიცერი, ოსმალეთის ჯარის სიმამაცე. კონსტიტუციის მომხრე მოხელენი გარბოდნენ. ლიბერალურმა პრესამ თავისუფლების ჰანგები „შარიათის“ ქება-დიდებით და ახალგაზდა ოსმალთა ლანძღვა-გინებით შესცვალა. ზოგმა მორცხობის ნიღაბი სრულიად მოიგლიჯა და მიკიბულ-მოკიბული გზას პირდაპირი არჩია „ვოლკანის“-ის რედაქტორმა დევრიშ ვახდეტიმ სულთანს ღია წერილით მიმართა, ეველრებოდა —კონსტიტუცია უკან წაიღეო. „ოჰ, ფადიშაჰ!— ასე ათავებდა იგი წერილს:—ამბობენ, ძალით მოიპოვეს კონსტიტუციაო, მაგრამ თუ თქვენ უდიდებულესობას სურს უკან წაიღებს ამასაო.“

ციხეების კარები გაიღო და ქუჩებს მოედო ჯაშუშობა. აღარსად აღარ ისმოდა ჩვეულებრივი მხიარულება და ჟრიამული. სამ-ოთხ კაცს, ერთად მოლაპარაკეს, ვეღარ შეჰხვდებოდით სულ უბრალო ლაპარაკის დროსაც კი შეშინებულს თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, საუკეთესო დეპუტატები გაქცეულიყვნენ. ის პარლამენტი, რომელმაც დიდი ვეზირი ქიამილ-ფაშა ჩამოაგდო და რომელსაც მთავრობა ასე მოკრძალებით ეექცეოდა, დღეს სულთნის მიერ დაყენებულ მინისტრების ბაბუჩად ასაგდები გახდა 15 აპრილს, როდესაც მომხდარ ამბებზე პარლამენტი შიშის ქვეშ მიუდგომლად ვერა მსჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდა, საერო განათლების მინისტრი იმდენად გაკადნიერდა, რომ თავისი სიტყვა ასე დაათავა: „ნუ გექნებათ შიში მთავრობისა. იყავით დაწყნარებული“... „ნუ გექნებათ შიშიო“ — დეპუტატებმა ეს ცუდად ახსნეს და ზოგიერთმა გაბედულმა კიდეც მიაძახა: „ერის მფარველობის ქვეშ არაფრისა არ გვეშინიან, წაიღეთ სიტყვა უკანაო“. მაგრამ ამისთანა პასუხი იშვიათი იყო. პროგრესიული დეპუტატები შიშით ერიდებოდნენ მსჯელობას და ბურთი და მოედანი რეაქციონერთა უმცირესობას დარჩა. სომხებმა და ბერძნებმა, რომელნიც აქაურ მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენენ, თითქოს დაივიწყეს, რომ ფიცით ქვეყანას ყურები გამოუყრუეს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ კონსტიტუციასაო. უკანასკნელი წვეთი კი არა და თითო თითზეც არ დაუდვიათ არც 31 მარტს და არც 1 აპრილს. მათ ადგილას შორიდან მოსული ალბანელნი და ბოლგარელნი იბრძოდნენ. ასე იაფად მიაღწიეს გულის წადილს რეაქციონერებმა. ისინი მთელ რიგზე ბრწყინვალე გამარჯვებას დღესასწაულობდნენ. მაგრამ ეს გამარჯვება, როგორც დეპეშებიდან უკვე იცით, ხანმოკლე გამოდგა, ხოლო სიხარული ნაადრევი.

ჯერ ორი დღეც არ გასულიყო ამის შემდეგ რომ პროვინციები საშინელმა მღელვარებამ მოიცავა. სერრეს იანინას, სალონიკის ვილაეტები, ოსმალეთის თავისუფლების დაუვიწყარი ადგილები ეხლაც როგორც წინად, პირველნი ამხედრდნენ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. აბსოლიუტიზმის დაბრუნების საფრთხემ ყველა, განურჩევლად სარწმუნოებისა, ერთ მჭიდრო ძალად გადააქცია ოსმალნი, ბოლგარელნი. ალბანელნი კრებებზე ერთმანეთს ეფიცებოდნენ, მსხვერპლად შევწიროთ თავი თავისუფლებასაო. ყოველ მხრიდან დეპეშა დეპეშაზე მოსდიოდა პარლამენტს. ყველა დეპეშა ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ახალ კაბინეტს არა ვსცნობთ, რადგან უკანონოთ არის შემდგარი; აღადგინეთ კონსტიტუცია, აღადგინეთ კანონიერი მინისტრები თავიანთ უფლებებში, წინააღმდეგ შემთხვევაში სტამბოლზე მოვდივართო“. მინისტრებმა სცადეს დასამშვიდებელ დეპეშების გაგზავნა, მაგრამ პასუხად მხოლოდ ეს მოდიოდა: „დროს ნუ ჰკარგავთ დეპეშების გზავნით. რადგან როგორც უზურპატორებს, პასუხს აღარ გაღირსებთო“. პროვინციის მოხელეობაც მხნედ ამოუდგა ჯარს გვერდში. მათაც განაცხადეს არავითარ საქმეს არ დავიჭერთ კონსტიტუციის დამრღვევ მინისტრებთანაო. აი რასა სწერდა სალონიკიდან ვილაეტის დევტერდარი ემენი ფინანსთა მინისტრს: „რადგან უკანონოდ შემდგარ მინისტრების კაბინეტში ხართ, თქვენი ბრძანება აღსრულებული არ იქმნებაო“. ამისთანა მაგალითი მრავალი იყო.

3 აპრილს პირველად მოვიდა ამბავი, რომ სტამბოლზე მოდის „თავისუფლების ჯარიო“, როგორც გაზეთები ეძახიან. ამ ამბავს ჯერ არავინ აძლევდა დიდ მნიშვნელობას, მაგრამ მალე მთელი პრესა ამაზე ალაპარაკდა. ახალ-ახალი ცნობები მოდიოდა და რეაქციის დამქაშებს თავ-ზარსა სცემდა. თითო გაზეთი დღეში სამ დამატებას იძლეოდა რეაქციამ საგრძნობლად იკლო. ხალხი აქ-იქ ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა და მომავალ ჯარზე მსჯელობდა. ყველა ამ ჯარის მაჯის ცემით სცოცხლობდა იმ დღეებში.

მალე ორი კორპუსი ევროპიულად გაწვრთნილ ჯარის მაჰმუდ-შევკეთ-ფაშის წინამძღოლობით სტამბოლს დაუახლოვდა. მათთან მოდიოდა ალბანელებისა და ბოლგარებისაგან შემდგარი თავისუფალი რაზმი — 3000 კაცამდე, მოწინავე რაზმები ერთის მხრით სან-სტეფანოს, ხოლო მეორეს მხრით ჩატალჯუს მოადგნენ. სულთანის მიერ გაგზავნილი ფანატიკოსი, ხოჯები ბევრს ეცადნენ აქაც შეეტანათ ღალატი და არეულობა, მაგრამ მწარედ მოსტყუვდნენ.

წამოსულ ჯარს წინდაწინვე ყოველი ზომა ჰქონდა მიღებული ამის წინააღმდეგ. შიგ ჯარში ჰყავდათ განათლებული მოლები, რომელნიც თოფით ხელში გვერდში ამოსდგომოდნენ ჯარის-კაცებს. მოწინავე რაზმებს წინ უძღოდა მაკედონიის სკოლიდან მოსული ჟანდარმერია. მისვლისათანავე ყველგან საალყო წესებს აცხადებდნენ. ჯარის მთავარ სადგომს გარეშეთაგანი, ვინც უნდა ყოფილიყო, ახლო ვერ გაეკარებოდა. გაჩერდებოდა თუ არა სტამბოლიდან მიმავალი მატარებელი სან-სტეფანოში, ალყას აკრავდნენ და მგზავრებს სასტიკ დაკითხვის ქვეშ ატარებდნენ. ამ ჯარის მნახველი კორრესპონდენტები ამბობდნენ, ზედ რომ გადააკვდეთ უბრალო ჯარის კაცს, პაპიროზს ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაღებინებთ, ისე ფრთხილობენო. იმის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ამ ჯარს ვერ მიუდგნენ სულთნის ფონატიკოსი—ხოჯები. მთელი მათი მეცადინეობა ზედ შეემსხვრა „თავისუფლების ჯარის“ გასალკდევებულ დისციპლინას. ბევრი ხოჯები დაიჭირეს და საველე სასამართლოს გადასცეს, სანსტეფანოში დაიჭირეს პოლკოვნიკი ჰუსეინ-ხუსნი ბეი, რომელსაც ბევრი ფული აღმოაჩნდა აფიცრების მოსაქრთამად, ასევე ჩატალჯუს დაიჭირეს პოლკოვნიკი ასიმ-ბეი და მრავალი სხვანი:

(დროება).

აბდულ-ჰამიდის მეფობის უკანასკნელი წამები.

ამბობენ, რომ ერეკვნულ კრების დეპუტაციამ, რომელსაც ტახტიდან ჩამოგდების ამბავი უნდა გამოეცხადებინა აბდულ ჰამიდისთვის, დიდხანს ვერ იპოვა იგი ილდიზშიო. ბოლოს გაიგეს, რომ სულთანი ჰარამ ხანაში დამალულიყო. დეპუტაციამ მოსამსახურეების პირით შეატყობინა სულთანს თავისი მოსვლა, მაგრამ სულთანი ხმას არ სცემდა არავის. სამჯერ შეუგზავნეს მოსამსახურეები, მერე კი აფიცრები, რომლებიც ახლდნენ დეპუტაციას, დაუკითხავად შევიდნენ ჰარამხანაში მათ შეჰყვა დეპუტაციაც.

სულთანი იატაკზე იწვა თითქმის უგრძნობლად. მის გარშემო ფუსფუსებდა ოცამდე ქალიყველანი ტიროდნენ, ტიროდა სულთნის მცირე წლოვანი ვაჟიშვილი აბდულ-რახიმიც. ქალებმა, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დეპუტაცია სულთნის მოსაკლავად იყო მოსული, იკივლეს რომ ჩვენც მასთან ერთად დავიღუპებითო. დეპუტაციამ დიდის წვალებით როგორც იყო დაამშვიდა ყველანი. როცა გონს მოვიდა, სულთანმა მოუსმინა დეპუტაციას და შეეეედრა, ნუ მომკლავთო ეს ვედრება მან არა ერთხელ გაიმეორა. დასასრულ აბდულ-ჰამიდმა გაახსენა დეპუტაციას, რომ იგი 33 წელს სათუთად ინახავდა და მზრუნველობით უვლიდა თავის ძმას, სულთნად ნამყოფს მურად მეხუთეს, „ჩიტის რძეს“ ასმევდა მას და ითხოვა, მეც კაცთმოყვარულად მომექეცით, ჩირაგანის სასახლეში დამასახლეთო. დეპუტატ ესად-ფაშის მაგარმა კილომ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სულთანზე. დეპუტაციის მეორე წევრმა, სალონიკელმა ადვოკატმა კარასომ უთხრა, აბდულ-ჰამიდს რომ მის სიცოცხლეს მთელი ოსმალეთის ერი მფარველობს და რომ მას არავითარი საფრთხე არ მოელისო. სულთანმა მიუგო: „პირველში ყოველთვის ეგრე ამბობენ ხოლმე, მერე კი სულ სხვანაირად მოქმედებენო“. ბოლოს და ბოლოს აბდულ-ჰამიდი ცოტა არ იყოს გამხნევდა და დინჯად სთქვა: „ვემორჩილები ბედსა, ალბად ჩემი ყისმათი ეგა ყოფილაო“.

* * *

ოსმალური აფიცრობა. ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ ოსმალეთის ჯარის მთელი აფიცრობა და გენერლობა სულ კონსტიტუციისა და ახალგაზდა ოსმალების მომხრე ყოფილან. სტამბოლის მეცხრამეტე ჯარის 2500 აფიცრიდან ერთი არ მიმხრობია ფიცის გამტეხ და სულ-გაყიდულ ჯარისკაცებს. კონტრ-რევოლიუციის უმალ ყველა გენერალი გადამდგარა სამსახურიდგან. კონტრ-რევოლიუციის შემდეგ დანიშნულ სამინისტროს მხოლოდ ერთი გუბერნატორი დამორჩილებია. სტამბოლში ჯარის-კაცებს კონტრ რევოლიუციის დროს როგორც გაზეთები იუწყებიან. 200-მდე აფიცერი მოუკლავთ, რაკი არც ერთი აფიცერი არ მიმხრობია. ჯარის კაცებს, როგორც უკვე ვიცით, ერთი „ჩაუში“ (უნტერ-აფიცერი) უფროსობდა. ჯარის კაცებს სტამბოლის მეცხრამეტე ჯარის უფროსის მახმუდ-მუხტარ-ფაშის მოკვლაც ნდომებიათ. თითონ „წითელ“ სულთანს გაეცა ბრძანება, რომ მუხტარფაშა ცოცხალი ან მკვდარი უნდა ჩამაბაროთო. ჯარის კაცები გააფთრებულები ეცნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე მუხტარფაშის სახლს, მაგრამ ვერ იპოვეს მეციხოვნე ჯარის უფროსი. იგი გერმანულ გემით გაქცეულიყო ჯერ საბერძნეთში დამერე იქიდან სალონიკში მისულიყო. ეხლა მახმუდ-მუხტარ-ფაშა იმყოფება სან-სტეფანოში კომიტეტის ჯარში.

სპარსეთის ამბები

მალეთის ჯარმა დაიკერა ხოი და სალმასტი.

ტფილისში კერძო ცნობა მიიღეს სარწმუნო წყაროდან, რომ ოსმალეთის ჯარმა, ურმიის ოლქის გარდა ხოისა და სალმასტის ოლქებიც დაიჭირაო. სპარსელები თურმე სიხარულით და აღტაცებით ეგებებიან ოსმალებს.

რუსის ჯარი თავრიზში.

თბილისურ გაზ. „გოლ. კავკაზა"-ს კორრესპონდენტი ასწერს რუსის ჯარის შესვლას თავრიზში:

„17 აპრილს ნაშვადღევის ორ საათზე ჩვენ აჯიჩაის ხიდთან მივედით, თავრიზს ახლო.. ჩვენი რაზმის პირველი ნაწილი შესასვენებლად შედგა მდინარე აჯიჩაის მაღალ ნაპირას, საიდანაც ჩანს თავრიზი, რომელიც მდინარიდან 3 ვერსტის მანძილზეა სამხრეთისკენ... აჯიჩაის ძველებურ მკვიდრ ხიდზე რევოლიუციონერებს აუშენებიათ კედელი და ეტლების გასავლელად საკმაო გზა-ღა დაუტოვებიათ. მდინარის სამხრეთ ნაპირას რუსის შენობაში, რომელიც ეკუთვნის თავრიზის გზა-ტკეცილის მმართველობას, ყარაული უყენიათ რევოლიუციონერებს. შენობის ბანზე, რომელიც საბრძოლველად გაუმაგრებიათ, იდგა ორი თოფიანი დარაჯი, ხოლო შიგ შენობაში და მის ეზოში იდგა 150 შეიარაღებული რევოლიუციონერი. გაგზავნეს (რუსებმა) მსროლელთა პატარა რაზმი, რომელმაც განდევნა რევოლიუციონერები საბაჟოდან (აჯიჩაის ხიდზეა), მცირე წინააღმდეგობის შემდეგ (იარაღი არ მოუხმარებიათ) მოგლიჯა წითელი ბაირაღი, რომელიც პირდაპირ მდებარე შენობაზე იყო გაშლილი, და თითონ დადგა ყარაულად".

ბაქოელ სპარსელების დეპეშა შაჰისადმი

ბაქოელ სპარსელების კოლონიამ 24 აპრილს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა შაჰსა:

„ეხლანდელი მდგომარეობა და უკანასკნელი ამბები ადერბეიჯანში (იგულისხმება რუსის ჯარის შესვლა) მოითხოვენ, რომ თქვენ არავის მისცეთ ნება ჩვენი ერის დატყვევებისა და ჩვენის იმპერიის დამხობისა. სპარსეთის მომავლისთვის აუცილებლად საჭირო იყო კონსტიტუციის დაწესება. რაკი თქვენ დაუბრუნეთ ხალხს კონსტიტუცია, ეხლა იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სამშობლო გადარჩება დაღუბვას".

სათარ-ხანი და რუსის ჯარი.

სათარხანმა ჰკითხა რუსის ჯარის უფროსს გენ. სნარსკის, როდის გავა რუსის ჯარი თავრიზიდანაო. გენ. სნარსკიმ უპასუხა: რუსის რაზმი მაშინ დაბრუნდება რუსეთში, როდესაც სპარსეთში სრული წესიერება დამყარდება და უზრუნველ ყოფილ იქნება უცხოელ ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონების უშიშრობაო... *)

*) ეს სიტყვები უნებლიეთ მომაგონებს ერთ კახელს რომელიც თფილისში ჩამოსვლის ვადას ნიშნავდა.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაჰი და სათარ-ხანი.

შაჰმა დეპეშით შეატყობინა სათარ-ხანს: ჩემის დაბადების დღის გამო, კონსტიტუცია ვუბოძე ხალხსა და სრული პოლიტიკური ამნისტია გამოვაცხადე, ამიტომ უნდა იარაღი დაჰყარო და ეინუდ-დოვლე თავის ჯარით თავრიზში შეუშვაო.

სათარ-ხანმა უპასუხა; იარაღს დავყრი, მაგრამ ეინუდ-დოვლეს-კი ვერ შეუშვებ თავრიზში, სანამ მეჯლისი არ დაადგენს მაგასაო.

კონსტიტუციის აღდგენაზე ცნობის მიღების უმალ სათარ-ხანის ბინაზე და რევოლიუციონერების პოზიციებზე ააფრიალეს წითელი ბაირაღი.

სათარ-ხანს თეირანში იწვევენ

სამხედრო მინისტრმა დეპეშით სთხოვა სათარ-ხანს: შაჰი გიწვევთ თეირანში, რომ აქ დაეხმარო ახალ სამინისტროს პარლამენტის მოწვევასა და სხვა საქმეებშიო.

სათარ-ხანმა უპასუხა: პარლამენტის შეკრებამდე შეუძლიან იმოქმედოს შაჰის მიერ დანიშნულ სამინისტროს, ხოლო ახალი სამინისტრო სჯობია მაშინ დაინიშნოს, როდესაც პარლამენტი შეიკრიბებაო. თავრიზს ვერ მივატოვებ, რადგან, მგონია რომ საჭირო ვარ აქა. რაც უფრო ჩქარა მოიწვევთ პარლამენტს, მით უფრო ჩქარა დამშვიდდება ქვეყანაო.

ახალი ამბები და შენიშვნები.

⁂ დეპუტაცია. „კასპის“ სიტყვით, პეტერბურგში კავკასიიდან ჩასულა დეპუტაცია, რომელიც იშუამდგომლებს სტოლიპინის წინაშე, კავკასიაში რეფორმების დაჩქარების შესახებ.

⁂ გორის ხაზინის გაძარცვის განზრახვა. გორში განუზრახავთ ადგილობრივ ხაზინის გაძარცვა 23 აპრილს დღესასწაულის გამო ხაზინაში მუშაობა არა ყოფილა, მაგრამ თერთმეტ საათზე ბუხჰალტერი შაპუნოვი მაინც მისულა. პატარა ხანს უკან შაპუნოვს სიჩუმეში ხაზინის ქვეშიდან რაღაც ხმაურობა მოსმენია. დაუძახნია მოსამსახურეებისთვის და იმათაც გარკვევით გაუგონიათ ხმაურობა. მაშინვე კაცი უფრენია პოლიციაში, ჟანდარმებთან და ჯართან. ყველანი ხელად გაჩენილან, შემოურტყავთ ალყა და შესდგომიან ჩხრეკას, ხაზინიდან 50 საჟენის მანძილზე, წაღების მკერავ პატარა სახლში უნახავთ თხრილი. თხრილი ხაზინისკენ ყოფილა გაყვანილი დიდ მანძილზე. თხრილში საპიორები ჩასულან. როდესაც ათიოდე საჟენი გაუვლიათ, შეჰხვედრიათ დედაკაცი, რომელსაც ტომრით მიწა მიჰქონდა თურმე. დედაკაცი შეუპყრიათ. გაუვლიათ კიდევ ცოტა მანძილი და უნახავთ კაცი, მერე მეორე და მესამე, ორი ამათგანი მიწას ეზიდებოდა თურმე, მესამე-კი ხაზინის ქვეშ პატარა ლომით კლდეს ამტვრევდა. ყველანი დაუპატიმრებიათ. დაუპატიმრებიათ აგრეთვე სახლის პატრონი.

⁂ სამლოცველო. „სასინოდო კანტორის სადგომის შესავალ კიბეზე, იმ ადგილას, სადაც შარშან მოჰკლეს საქართველოს ექსარხოსი ნიკონი, უკვე შეუდგნენ სამლოცველოს აშენებას. ამ სამლოცველოს აკურთხებენ ექსარხოსის მოკვლის წლის თავზე.“

ამ პატარა ცნობას „დროებისას“ საჭიროდ ვრაცხ დავსძინო შემდეგი: ამ სამლოცველოში თავისი ხარჯით ამზადებს ერთი თბილისელი ჭეშმარიტი რუსი თავის ხარჯით კიოტს კაკლის ხისაგან, რომელშიაც იქნება მაცხოვრის ხატი ეკკლესიის გვირგვინით, ხატს ზემოთ ექმნება ოქროს ასოებით დაწერილი რუსულად ЯКО ИЗЧЕЗАЕТЪ ДЫМЪ ТОКО ДА ИЗЧЕЗНУТЪ. ამ წარწერას რაღაცა ლაპარაკი გამოუწვევია ზოგიერთებში. სინოდის კანტორასაც მოხსენებია მაგრამ ჭეშმარიტი რუსის სურვილისამებრ კონტორასაც გარდაუწყვეტია ასრულება მთხოვნელის აზრისა. ჩვენის აზრით საჭირო იყო სინოდს მოხსენებოდა ამ წარწერის შინაარსი და სინოდის აზრით ეხელმძღვანელებიათ კანტორას და არა მარტო ერთ ჭეშმარიტ რუსის აზრით.

⁂ სომხების დაპატიმრება. სომეხ მოღვაწეებს ტფილისის გარდა სხვა ქალაქებშიაც აპატიმრებენ ერევანსა, განჯასა, ეკატერინოდარსა, ნოვობაიაზეთსა და სხვაგან ბევრნი გაუჩხრეკიათ და დაუპატიმრებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

** ბანკზე დარჩენილ მამულებს სხვები ისაკუთრებენ. ამ ცოტა ხანში გამოირკვა, რომ საადგილმამულო ბანკზე დარჩენილ მამულების პატრონები სარგებლობენ გამიჯვნით და მამულს მიჯნავენ თავიანთ მახლობელ ნათესავებზე და ბანკს, ამ ნაირად ხელიდან ეცლება მამული. ამ გარემოებამ აიძულა ბანკი, რომ იქ, სადაც წრეულს გამიჯვნაა დანიშნული, თავისი რწმუნებულნი დანიშნოს და დაწესებულებას ზარალი აალდინოს. როგორც გავიგეთ ამ ნაირ რწმუნებულად მოწვეულია 9 კაცი, რომელთა შენახვა ზაფხულის განმავლობაში გამოიწვევს 4000 მანეთამდე ხარჯს

დღემდის როგორცა გავს ბანკს არავინ არ ყოლებია. ვაშა ბანკის მმართველობას!.

** თავად აზნაურთა კრება. 19 მაისისთვის დანიშნულია ჩვეულებრივი კრება ქუთაისის თავადაზნაურობისა, რომელმაც გარდა მიმდინარე საქმების განხილვისა, უნდა მოახდინოს არჩევნები: გუბერნიისა და მაზრების მარშლებისა, დეპუტატებისა, მდივნისა და ბანკის რწმუნებულებისა. გუბერნიის მარშლის კანდიდატად სხვათა შორის ასახელებენ თავ. დავით ნიჟარაძეს, რომელიც, როგორც ამბობენ, თუ ისურვა კენჭის ყრა, არჩეული იქნება.

** რევიზია. დამთავრდა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს რევიზია, გენერალ სლავოჩინსკის ინიციატივით დანიშნული, როგორც ამბობენ, სარევიზიო აქტს მალე წარადგენენ, სადაც ჯერ არს. რაც დრო გადის, მით უფრო ირკვევა, რომ ამ რევიზიას ხელს უწყობდნენ მრეწველობასთან დაახლოვებული პირნი და იქამდისაც კი მისულან ზოგიერთნი, რომ მთავრობისთვის უთხოვნიათ, დანიშნოს საბჭოს თავმჯდომარე.

** არა ჩვეულებრივი სიკვდილი. მარტში თავი მოუკლავს 331, მოუკლავთ 266 და მთავრობას სიკვდილით დაუსჯია 43 კაცი, სულ 640 კაცი.

** თვითმკვლელობა. როგორც ზევით ავღნიშნეთ, მარტის განმავლობაში თავი მოუკლავს 331 (იანვარში 325, თებერვალში 364). უმთავრესად თავი მოუკლავთ მუშებს და მოსწავლე ახალგაზრდობას.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

სიტყვა,

თქმული 19 აპრილს 1909 წლისა ქვაშვეთის წმიდის გიორგის ახალის ტაძრის ქვემო სართულში მოთავსებულის სულის წმიდის სამწირველოს კურთხევის დროს.

> ესე არს დღე, რომელ ჰქმნა უფალმან: ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა (ფსალ. 117, 24),

ვინაიდგან დღეს იწყება დასასრული იმ საქმისა, რომელიც გვიმტკიცებს რომ ჩვენში ჯერ კიდევ საკმაოდ ღვივის წმ. მოციქულთა-სწორის ნინოს მიერ აღნთებული ცეცხლი სარწმუნოებისა რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა ის მამა-პაპათა ძლიერი სული, რომელმანც შეჰქმნა სვეტი-ცხოველი, გაენათი, ბედია, სამთავისი და მრავალი სხვანი...

მოგეხსენებათ, რომ ის წმიდა ტაძარი, რომელიც ას-ორმეოცდა-თერთმეტის წლის განმავლობაში იცავდა თვის შორის უუძველესთა სიწმინდეთა, რომელთა წინაშე არა ერთსა და ორს თაობას უფრქვევია ცრემლნი მწუხარებისა და სინანულისანი, და შეუწირავს სამადლობელნი ხოტბანი და ქებათა-ქებანი, ამ ათიოდე წლის წინად განირღვა ოთხად და ყოველს წამს ჰლამობდა დაქცევად. ყოველივე შრომა და მეცადინეობა იმ ტაძრის დასაცველად შეიქმნა ამაო და ფუჭი, ვინაითგან რაც დროთა ვითარებამ გაანადგურა,—კაცთა ხელოვნებამ და გონებამ ვერ შესძლეს აღდგინებად..,

სწორედ ამ გარემოებამ აღუძრა სურვილი მოყვარულთა სახლისა ღვთისა შვენიერებისათა

აღეგოთ ახალი ტაძარი იმ გეგმით, რომელიც შეიმუშავა და შეიყვარა ქართველთა ერის გონება. გე მოვნებამ, და აჰა ნაყოფი ამა სურვილისა: განზრახულს ტაძართან ერთად ჩვენ მოგვეცა შეძლება აღგვეგო ეს მეორე ტაძარიც, დღეინდელის მღვდელთ-მოქმედების შემდეგ განმზადებული სამკვიდრებელად ცხოველ მყოფელისა სულისა...

ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ, საყვარელნო, დღესა ამას, ვინაითგან ამა ტაძრის კურთხევა წინამორბედია უმთავრესის ტაძრის დასრულებისა, ნიშანია უფლისა მიერ ჩვენის განზრახვის მსხვერპლად სულნელად შეწირვისა და თავმდებია მისის მოწყალების ჩვენზედა კვალად მოღებისა. ამა სიხარულთან ერთად, მივცეთ დიდება უფალს ჩვენის განზრახვის კურთხევისათვის, ლოცვა ვყოთ მათთვის, ვინც ხელი შეეწყო ამ კეთილს საქმეს, გამოვითხოვოთ უფლისაგან სიმხნე საქმის მესვეურთათვის, და შევევედროთ ყოვლად-მოწყალეს, რომ ღირს გვყოს ვედრებად მისდამი მთავარს ტაძარშიაც რათა მუნ ლოცვითა ჩვენ ყოველნი შევიქმნეთ ჭეშმარიტ ტაძრად ღვთისა ცხოველისა, და სამკვიდრებლად და საქცეველად ჩვენ შორის ყოვლად წმიდისა სულისა (2 კორ. 6, 17) ამინ.

მღვ. ჯ. ცინცაძე.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვები რედაქციის მიმართ

კითხვა. ორშტატიან ეკლესიაზედ ვმსახურებ დით ორი მღვდელი და ორი მედავითნე. მ სამე, შტატ გარეთად, მთავარ დიაკონი ჩამოამატეს. ბლაღოჩინმა შემოსავლის გაყოფა ასე ინება: პირველმა მღვდელმა შემოსავლის ნახევარი, ესე იგი, მანეთიდან ათი შაური აიღოსო, მთავარ დიაკონმა ექვსი შაური და მედავითნემ ერთი აბაზიო. მეორე მღვდელმა მანეთიდან მეხუთედი თავის მედავითნეს მისცესო. გთხოვთ მორჩილად განგვიმარტოთ კანონიერად მოიქცა ბლაღოჩინი თუ არა? არსებობს ესეთი კანონი თუ ბლაღოჩინის განკარგულებით უნდა იყოფოდეს შემოსავალი?

მიგება. უკანასკნელი სინოდის უქაზის ძალით აღკრძალულია შტატ გარეთად, სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურეთა დანიშვნა. ორ შტატიან კრებულში მედავითნეები იღებენ მეოთხედს ყოველივე შემოსავლიდან და არა მეხუთედს. თუ საჭირო იყო მთავარ დიაკონი მღვდლების სურვილით ერთ ერთი მედავითნე უნდა ეკურთხებიათ მთავრად ისევ მედავითნის ადგილზე. თუ მღვდლებმა თვითონ მოითხოვეს შტატ გარეთად მათ უნდა დააყმაყოფილონ თავის შემოსავლიდან და მედავითნეებს სრული უფლება აქვს მეოთხედი წილიდამ არც ერთი კაპეიკი არ დაიკლონ. იმ ნაირი კანონი როგორიც წილის გაყოფაში შემოულია ბლაღოჩინს ჯერეთ არ არსებობს...

კითხვა. გარდაიცვალა კაცი. მე როგორც მედავითნეს მიხოვეს დავითნის კითხვა. დავითნი უკითხე ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს საღამოს გავასვენეთ გარდაცვალებული. ოთხ დღეში დავითნის საკითხავი მანეთ ნახევარი მომცეს. ამ მანეთ ნახევრიდან მღვდელმა წაიღო თუთხმეტი შაური და ცხრა შაური მთავარ დიაკონმა წაიღო და მე დამიტოვეს ოთხი დღის დავითნის საკითხავად საშრომი 30 კ. ჰქონდათ უფლება ასე მოქცეულიყვნენ მღვდელი და მთავარი?

მიგება. მთელს იმპერიაშა იმისთანა კანონი არ არსებობს, რომ მედავითნეს ვინმე შეეცილოს დავითნის საკითხავის საჩუქარ ფულის მონაწილეობაში. მედავითნეს რასაც აჩუქებენ ის მას ეკუთნება და არავის სხვას მონაწილეობის უფლება არა აქვს სადავითნო ფულების მიღებაში. სჩანს თქვენი ბლაღოჩინი ომიანობის წესების მდგომარეობით სარგებლობს!.. ამბობენ ზოგიერთები რომ ომიანობის დროს ყოველივე უკანონო საქციელი შერჩებაო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვა. ზირებისათვის ,ოტა რამ საჩუქარის მიცემა იციან ხოლმე, მაგრამ ამ საჩუქრებს მღვდელს აძლევენ აღსარების დროს. ამ საჩუქრიდან მღვდლები ზოგან არაფერს არ აძლევენ მედავითნეებს, ამბობენ ეს საღსარებო საჩუქარი არისო, ერგება რამე ამ ნაჩუქარი ფულიდან მედავითნეს თუ არა?

მიგება. ჩვენს საქართველოს ეკლესიაში ძველ დროში არავითარი საჩუქარი არ ყოფილა დადებული ზიარებისათვის. მაგრამ მრევლი უპატიცემულოდ არ ტოვებდა სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთა, პურ-ღვინით ცემდენ პატივს მოძღვრებს და მედავითნეთაც. ბოლოს რუსეთის სამღვდელოების ჩვეულება შემოიღეს ჩვენშიაც რუსის ხალხის წაბაძვით. ეს ჩვეულება მდგომარეობს იმაში, რომ საღსარებო ანალოგიაზე დაუდებენ საჩუქარ ფულს მოძღვარს. ეს სასყიდელი ნამეტნავად ამდაბლებს სამღვდელოებას ხალხის თვალში. ამაზე თუთხმეტი წლის წინათ აღვძარით ჩვენ კითხვა, რომ მოსპობილიყო იგი საქართველოს ეკლესიაში. ბოლოს სინოდმა გამოსცა უქაზი და ბრძანა, რომ ეკლესიაში დაედგათ ყულაბი დაბეჭდილი და ვისაც რა სურდა საჩუქრად მღვდელის და კრებულისათვის ყულაბში ჩაეგდოთ. აღმოსჩნდა ზოგიერთ ადგილას რუსეთში ყულაბებში ფულების მაგიერ ძველი ფოლაქები. ჩაეგდოთ. ეს სამღვდელოებამ იუკადრისა და ყულაბებით შეკრება ფულისა მოსპო. დღეს კი ისევ ძველებურად დადგა საქმე. მღვდელს ეკუთვნება მარტო რასაც კვეთის დროს მოიტანენ სეფისკვერთან და სხვა საჩუქარი, რაც მიეცემა მაზიარებელთაგან მედავითნესაც ჯეროვანი წილი აქვს და არც ერთ მღვდელს უარის თქმა არ შეუძლია წილის მიცემაზე.

კითხვა. მღვდელი მიიპატიჟეს სხვა მრევლში გარდაცვალებულის დამარხვის დროს. მოითხოვა, რომ მედავითნე იახლოს შესამოსით. მღვდელი დარჩა მთელი დღე და მედავითნეც არ მოიშორა. ბოლოს აჩუქეს ორი, სამი და ოთხი მანეთიც. მედავითნეც მთელი დღე მასთან გაცდა, მაგრამ არაფერი არ მისცა. ვალდებულია მღვდელი მისცეს რამე მედავითნეს თუ არა?

მიგება. როცა მღვდელს მიყავს მედავითნე და მედავითნეს სადავითნოს ცალკე არაფერს აძლევენ, უთუოდ მღვდელმა უნდა გაუყოს მიღებული საჩუქარი, რადგან მას ახლდა და მთელი დღე დაჰკარგა მასთან. ამასთან მედავითნეს სრული უფლება აქვს სრულებით არ წაყვეს სხვა მრევლში.

კითხვა. ბავშვია მოსანათლაეი. ვინ არის ვალდებული, რომ ემბაზი და სხვა საჭირო ნივთები ნათლის-ღების შესასრულებლად წაიღოს მოსანათლავის სახლში: სტაროსტა, სტოროჟი თუ მედავითნე?

მიგება. ნათვლა კანონით ეკკლესიაში უნდა სრულდებოდეს. თუ ეკლესიაში არ მოყავსთ მოსანათლავი, მაშინ მოსანათლავის დედ-მამა არის ვალდებული წაიღოს ბავშვის მოსანათლავი ემბაზი. წიგნები კი მედავითნემ უნდა წაიღოს...

Дозволено Цензурою 30 Апрѣля 1909 года г. Кутаисъ

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 30 აპრილი 1909 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი"-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.